

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2018 წლის 31 იანვარი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის მეორე პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის მიხედვით.

მუხლი 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მუშაკთა ნუსხა დამტკიცდეს №2 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №15 დადგენილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვახტანგ ღამბაშიძე

დანართი №1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	სამტატო რიცხოვნობა
	საკრებულო			
1	საკრებულოს თავმჯდომარე		2800	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		1900	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		1700	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		1700	4
5	საკრებულოს ფრაქციის მოადგილე		1200	5
	საკრებულოს აპარატი			



1	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი –საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1700	1
2	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი –საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	2	1300	1
3	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი –სამდივნო განყოფილების უფროსი	2	1300	1
4	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	3	900	1
5	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – იურიდიულ საკითხებში	3	900	1
6	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – საორგანიზაციო მართვის საკითხებში	3	900	1
7	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – საოქმო წარმოების საკითხებში	3	900	1
8	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	3	900	1
9	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი –საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	3	900	1

დანართი №2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციათა ჩამონათვალი

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	750	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	800	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი	700	1
3	დამლაგებელი	400	1

